

შპს „ტრი მედია ინტელიჯენსი“-ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020

წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „ტრი მედია ინტელიჯენსი“

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე

შპს „ტრი მედია ინტელიჯენსი“-ს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	877 630	30 001	11 306
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	1 050 512	858 915	543 647
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	233 080	5806	12 928
მარაგები		492	0	0
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა -საწვავი		492	0	0
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	20 930	5 970	4 163
სხვა არამატერიალური აქტივები	5	63 250	78 140	85 004
ძირითადი საშუალებები	6	441 205	529 412	611 675
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	766 899	958 624	1 198 280
სულ აქტივები		3 453 998	2 466 868	2 467 003
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	8	152 604	374 235	541 755
სავაჭრო ვალდებულებები	9	24 135	30 255	54 979
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	424
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	130 000	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	10	1 112 566	1 069 771	1 220 015
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		1 289 305	1 604 261	1 817 173
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი	11	1 284 519	146 1540	1 581 540
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	12	880 174	(598 933)	(931 710)

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე

გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		2 164 693	862 607	649 830
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 453 998	2 466 868	2 467 003

შპს „ტრი მედია ინტელიჯენსი“-ს

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

საქმიანობის შედეგები		31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები		4 568 118	2 992 348
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან	13	4 568 118	2 992 348
გაყიდვების თვითღირებულება		0	0
საერთო მოგება		4 568 118	2 992 348
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	14	(1 039 181)	(1 053 991)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(305 052)	(368 587)
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი	15	(160 571)	(201 351)
იჯარის ხარჯი	16	(221 406)	(160 728)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(1 147 862)	(793 383)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2 874 072)	(2 578 040)
საოპერაციო მოგება		1 694 046	414 308
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე

სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(214 939)	(81 531)
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1 479 107	332 777
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		1 479 107	332 777
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1 479 107	332 777
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		862 607	649 830
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(177021)	(120 000)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2 164 693	862 607

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტრი მედია ინტელიჯენსი“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდი 404480076 დაარსდა 2014 წლის 13 ოქტომბერს. კომპანიის დამფუძნებელი მერაბ ფაჩულია (პ/ნ01007003464)-100%.

კომპანიის დირექტორია ანა ლორთქიფანიძე (პ/ნ 65002005811).

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო,თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზ.,№154.

კომპანიის საქმიანობის სახეს წარმოადგენს სოციალური კვლევა, სატელევიზიო აუდიტორიის კვლევა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე

უცხოური ვალუტა.

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადანაგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	3.2766	2.8677
ევრო/ლარი	4.0233	3.2095
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი/ლარი	4.4529	3.7593

ამონაგების აღირება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი;

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე

ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით:

ძირითადი საშუალებები (გარდა შენობა-ნაგებობისა)	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%
არამატერიალური აქტივები	1-10 წელი

იჯარა

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე

ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. ფული და ფულის ექვივალენტები

	2020	2019
ფული და ფულის ექვივალენტები	877 630	30 001

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ფულს სალაროში. 2020 წლის ბოლოს საბანკო ანგარიშებზე ფიქსირდებოდა ლარი - 875 223 ლარი. სავალუტო ანგარიშზე უცხოური ვალუტა ექვივალენტით ლარში-368 222 ლარი (31/12/2020 -ის კურსით). სალაროს ნაშთი - 2 407 ლარი.

2. სავაჭრო მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები	1 050 512	858 915

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე

კომპანიამ მომსახურების გაწევა დაიწყო 2016 წლიდან. მისი მომსახურების მიმღები პირები წარმოადგენენ ძირითადად სამაუწყებლო კომპანიებს რომლებიც არიან მისი გრძელვადიანი კონტრაქტორები, ასევე კომპანიის მომსახურებას იღებენ სარეკლამო კომპანიები. კომპანია აკვირდება დებიტორული დავალიანების დაფარვის ტენდენციას და საჭიროების შემთხვევაში პერიოდის ბოლოს საექვო მოთხოვნებზე ანარიცხებს ქმნის. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიამ არ ჩათვალა საჭიროდ სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხების შექმნა.

3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

	2020	2019
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	233 080	5 806

გადახდილი ავანსები ძირითადად წარმოადგენს კომუნიკაციისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს. 2020 წლის ბოლოს ავანსი გადარიცხული იყო უცხოური საწარმოსთვის ძირითადი საშუალების (ახალი ტექნოლოგიის მზომი ხელსაწყო) შესაძენად.

4. სხვა მიმდინარე აქტივები

	2020	2019
სხვა მოკლევადიანი აქტივები	20 930	5 970

სხვა მიმდინარე აქტივს ძირითადად წარმოადგენს ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები.

5. სხვა არამატერიალური აქტივები

2020 2019

სხვა არამატერიალური აქტივები	63 250	78 140
------------------------------	--------	--------

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს - პროგრამული უზრუნველყოფები, რომელთა ვადა სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება 1 -დან 10 წლამდე.

6. ძირითადი საშუალებები

	2020	2019
ძირითადი საშუალებები	441 205	529 412

	01/01/ 2020 საბალანსო ღ-ბა	აქტივის მიღება	ცვეთა	31/12/ 2020 წარჩენი საბალანსო ღ-ბა
სასერვერო მოწყობილობა	382 251	3974	76450	309 775
საოფისე ინვენტარი	86 977.3	10348	17 913	79412
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	60 184	1013	7803	52 018

კომპანიის ძირითად საშუალებების დიდ ნაწილს წარმოადგენს სასერვერო მოწყობილობები.

7 . სხვა გრძელვადიანი აქტივები- ლიზინგით აღებული ქონება

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე

2020

2019

ლიზინგით აღებული ქონება.	766 899	958 624
--------------------------	---------	---------

კომპანიას აქვს სალიზინგო კომპანიისგან 5 წლიანი ხელშეკრულებით მიღებული გრძელვადიანი აქტივი საბოლოო გამოსყიდვის უფლებით.

8 ფინანსური იჯარის ვალდებულება

2020

2019

ფინანსური იჯარის ვალდებულება	152 604	374 235
------------------------------	---------	---------

სალიზინგო საგნის ღირებულება განსაზღვრულია აშშ დოლარში. კომპანია სალიზინგო გადასახადს იხდის ყოველთვიურად გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად . 2021 წელს დასრულდება ხელშეკრულება.

9 . სავაჭრო ვალდებულებები

2020

2019

სავაჭრო ვალდებულებები	24 135	30 255
-----------------------	--------	--------

სავაჭრო ვალდებულებები შედგება მიმდინარე სამეურნეო ვალდებულებებისგან.

10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

2020

2019

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1 112 566	1 069 771
------------------------------------	-----------	-----------

კომპანიამ 2015 წელს აიღო 10 წლიანი სესხი ბანკისგან 9% საპროცენტო განაკვეთით ამერიკულ დოლარში.

11. კაპიტალი

	2020	2019
კაპიტალი	1 284 519	1 461 540

2020 წელს კომპანიის დამფუძნებლებმა კრების ოქმის საფუძველზე შეამცირეს კაპიტალი 177 021 ლარით.

12. გაუნაწილებელი მოგება / ზარალი

	2020	2019
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	880 174	(598 933)

კომპანიას 2020 წელს ჰქონდა მოგება, რომლითაც გადაიფარა ზარალი და კომპანიას გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 880 174 ლარს.

13. ამონაგები მომსახურების გაწევიდან

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე

2020

მომსახურების გაწევიდან	4 568 118
------------------------	-----------

კომპანიის შემოსავალი ფორმირდება სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის მომსახურებიდან.

14. დასაქმებულთა ანაზღაურება

2020

დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 039 181)
--------------------------	-------------

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 45 – 50 თანამშრომელს.

15. საპროცენტო ხარჯი

2020

საპროცენტო ხარჯი	(160 571)
------------------	-----------

აღნიშნული საპროცენტო ხარჯი შეადგენს ბანკის სესხის და ლიზინგის პროცენტის ხარჯს.

2020

16. იჯარის ხარჯი

იჯარის ხარჯი	(221 406)
--------------	-----------

კომპანია საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებულ ფართში.

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე

17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

2020

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1 147 862)
--	-------------

საკონსულტაციო მომსახურება (651 509) ლარი

კომუნიკაციის ხარჯი (141 560) ლარი

კომუნალური (37 904) ლარი

დაზღვევა (34 044) ლარი

სხვადასხვა (282 845) ლარი

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით 600 ლარამდე ღირებულების ნივთი აღირიცხება საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენები არ მომხდარა

2020 წლის დასაწყისში დადასტურდა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID 19“) არსებობა, რამაც მსოფლიოში ეკონომიკისა და ბიზნესსაქმიანობის შეფერხება გამოიწვია. მენეჯმენტის შეფასებით, COVID 19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კომპანიის საქმიანობასა და მის უნარზე საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2021 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი ანა ლორთქიფანიძე